EaP | Eastern Partnership

აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის საშუალო განათლების სასტიპენდიო პროგრამა

2021-2022 წწ.

საერთაშორისო ბაკალავრის (IB) დიპლომი ევროპათმცოდნეობის მიმართულებით ახალ სკოლაში თბილისში (საქართველო)

მოსწავლეებისგან განაცხადები მიიღება სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელორუსიდან, საქართველოდან, მოლდოვის რესპუბლიკიდან და უკრაინიდან

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა: 2021 წლის 26 თებერვალი, 12:00 სთ. (შუადღე), საქართველოს დროით (UTC +4.00)

Supported by the European Union

New School International School of Georgia

UNOPS Implementing partner

16-17
წლის

40
სტიპენდია

6
ქვეყანა

აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა

ახალი სკოლა თბილისში (საქართველო), ევროკავშირისა და საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) მხარდაჭერით, მოხარულია, გამოაცხადოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის სასტიპენდიო პროგრამის კონკურსი მოსწავლეთა ახალი ნაკადის მისაღებად 2021/2022 აკადემიური წლისთვის.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მოსწავლეებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან, კერძოდ, აზერბაიჯანიდან, ბელარუსიდან, მოლდოვის რესპუბლიკიდან , საქართველოდან, სომხეთიდან და უკრაინიდან, რომლებსაც 2021 წლის 1 სექტემბრისთვის შეუსრულდათ 16-17 წელი.

ტესტირების შედეგების მიხედვით შეირჩევა ორმოცამდე საუკეთესო სტუდენტი, რომელიც მიიღებს სრულ სტიპენდიას საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) სადიპლომო პროგრამაში მონაწილეობისთვის ევროპათმცოდნეობის მიმართულებით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის პროგრამა, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნის მოსწავლეებისთვის საშუალო განათლების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. 2018 წელს წარმატებით დაწყებული პროგრამა მესამე წელია, რაც საქართველოში ხორციელდება. მიმდინარე კონკურსში შერჩეული სტუდენტები ჩაერთვებიან 2021/2022 აკადემიური წლის სასტიპენდიო პროგრამაში.

1 სადიპლომო პროგრამა

საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) სადიპლომო პროგრამა წარმოადგენს ორწლიან წინასაუნივერსიტეტო კურსს. აღნიშნული სწავლების მიხედვით, ესეებისა და საგანმანათლებლო აქტივობების ფარგლებში, მოსწავლეები გაივლიან ევროპათმცოდნეობაზე დაფუძნებულ სასწავლო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს მულტიკულტურული და მრავალენოვანი ევროპული ღირებულებების განმტკიცებას.

საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) სადიპლომო პროგრამას ევროპათმცოდნეობის მიმართულებით ახორციელებს ახალი სკოლა თბილისში (საქართველო), რომელიც 2010 წლიდან ავტორიზებულია IB-ის მიერ და წარმოადგენს ევროკავშირის პარტნიორს.

2 სასტიპენდიო პაკეტი

სტიპენდიის პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

სტიპენდიის პროგრამა მოიცავს საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის სრულ ორწლიან ციკლს და ასევე საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს საცხოვრებელი ადგილით.

სტიპენდია მიენიჭება პირველ აკადემიურ წელს და ავტომატურად გაგრძელდება მეორე აკადემიურ წელს, **სტუდენტების წარმატებული მოსწრების საფუძველზე პირველი წლის დასრულების შემდეგ.** სტუდენტებმა არ უნდა გააკეთონ ხელახალი განაცხადი სტიპენდიის მისაღებად მეორე წელსაც.

სტიპენდიის პროგრამა მოიცავს:

- სწავლების ხარჯებს 2021/2022 აკადემიური წლისთვის ევროპული საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამისთვის ახალ სკოლაში, თბილისში, საქართველო;
- განთავსებისა და კვების ხარჯებს თბილისში, საქართველოში. სტუდენტები განთავსდებიან საერთო საცხოვრებელში ახალი სკოლის ტერიტორიაზე, სადაც მაღალი ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტები უკვე მოქმედებს.
- სამგზავრო ხარჯებს ორივე მიმართულებით თბილისსა და საცხოვრებელ ადგილს შორის, სასკოლო არდადეგების დროს;
- მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობას საქართველოს ბანკის პერსონალურ სადებეტო ბარათის გამოყენებით.
- პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტებისთვის საჭირო სასწავლო მასალებს და რესურსებს (წიგნები, ლეპტოპები, კალკულატორები და სმარტფონები სწავლების დროს);
- მონაწილეობას ევროკაშირის მიერ დაფინანსებულ სემინარებში, კონფერენციებში, სასწავლო ტურებში და სხვა ღონისძიებებში;
- სამედიცინო დაზღვევას, სტომატოლოგიური მომსახურების ჩათვლით.

სტიპენდიის პროგრამა არ მოიცავს:

- ფულადი საშუალებების პირდაპირ გადარიცხვას ან ნაღდი ფულის გაცემას სტუდენტებისთვის ან სტუდენტების ოჯახებისთვის;
- შიდა ან საერთაშორისო გადაადგილება თბილისის მიმართულებით/თბილისიდან სტუდენტების ოჯახების წევრებისთვის;
- სტუდენტების პირადი ხარჯების უზრუნველყოფას, როგორიცაა ტანსაცმელი, დამატებითი ბარგის ტრანსპორტირება, საკვები და სასმელი კამპუსის გარეთ, მობილური ტელეფონები და პერსონალური კომპიუტერები, გარდა იმ კომპიუტერებისა, რომლებიც სტუდენტებისთვის წარმოდგენილ იქნა სადიპლომო პროგრამის ფარგლებში.

3 ვის შეუძლია შეიტანოს განაცხადი

სტიპენდიის პროგრამაში მიღება ხდება აკადემიური მოსწრების საფუძველზე და უფასოა იმ განმცხადებლებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ მოთხოვნებს.

უფლებამოსილი განმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდნს შემდეგ მოთხოვნებს:

1. იყოს სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის საქართველოს, მოლდოვის რესპუბლიკის ან უკრაინის მოქალაქეები და შეეძლოთ საერთაშორისო სამოგზაურო დოკუმენტების მიღება საქართველოში გასამგზავრებლად;
2. ცხოვრობდნენ სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვის რესპუბლიკაში ან უკრაინაში განაცხადის შემოტანის დროს;
3. აკმაყოფილებდნენ მათი ქვეყნისთვის განსაზღვრული შეფასების/ასაკის მოთხოვნებს, როგორც ეს მარჯვნივ არის განსაზღვრული.
4. იყვნენ საშუალო სკოლის მოსწავლე ზემოთ მითითებული ექვსი ქვეყნიდან ერთ-ერთში განაცხადის გაკეთების დროს;
5. აჩვენებს მინიმუმ საშუალოდ 70% GPA[1] წინა და მიმდინარე წელს საშუალო სკოლაში სწავლის დროს;
6. სწავლობდა ინგლისურ ენას და სათანადო უნარებს აჩვენებს რეგისტრაციის დროს (B2 დონე[2] და მეტი);
7. ევროკავშირის სხვა ენის ცოდნა მიიჩნევა უპირატესობად.

შენიშვნა: სტუდენტები, რომელთაც მოეთხოვებათ სამხედრო სამსახურის გავლა საბოლოო შეფასების მისაღებად, არ მიიჩნევიან უფლებამოსილებად.

სომხეთი	16-17 * ასაკი	9-10 კლასი * *
აზერბაიჯანი	16-17 * ასაკი	9-10 კლასი * *
ბელარუსი	16-17 * ასაკი	9-10 კლასი * *
საქართველო	16-17 * ასაკი	9-10 კლასი * *
მოლდოვა	16-17 * ასაკი	9-10 კლასი * *
უკრაინა	16-17 * ასაკი	9-10 კლასი * *

[1] GPA / Grade Point Average = ნიშნების საშუალო მაჩვენებელი

[2] B2 დონე შესაბამება გაწაფულობის საშუალო დონეს, რაც ნიშნავს, რომ ამ დონეზე მცოდნეს უკვე უნდა შეეძლოს, დამოუკიდებლად ისწავლოს ან იმუშაოს აკადემიურ და პროფესიულ გარემოში ინგლისურ ენაზე, თუმცა, გარკვეული შეზღუდვებით.

* ასაკი 2021 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით

* * განცხადების წარმოდგენის დროს

4 შერჩევისა და მიღების პროცედურა

შერჩევითი პროცესის ფარგლებში ყველა უფლებამოსილი აპლიკაცია თანაბრად იქნება განხილული.

შერჩევითი პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

განაცხადების შეტანა	წერილობითი ტესტები	გასაუბრება
2021 წლის 26 იანვრიდან 2021 წლის 26 თებერვლამდე, 12:00 სთ. (შუადღე), საქართველოს დროით (UTC+4.00)	2021 წლის მარტის განმავლობაში	2021 წლის აპრილის განმავლობაში

კომისია კვალიფიციურად წარმართავს შერჩევით პროცესს, ობიექტური და გამჭვირვალე შეფასებითი მეთოდების გამოყენებით. მიმღები კომისიის გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

აპლიკაციების შეტანა

განაცხადების შეტანის საბოლოო ვადაა 2021 წლის 26 თებერვალი, 12:00 საათი (შუადღე), საქართველოს დროით (UCT+4.00).

კანდიდატებს მოეთხოვებათ ონლაინ აპლიკანტის პროფილის შექმნა ახალი სკოლის ვებგვერდზე (www.eapeuropeanschool.eu) მათი აპლიკაციების შესატანად.

ნებისმიერი დაგვიანებით ან არასრულად წარმოდგენილი აპლიკაცია არ მიიღება. სრულყოფილი ფაილის წარმატებით შეტანის შემდეგ, აპლიკანტები მიიღებენ ავტომატურ ელექტრონულ წერილს.

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ტესტირებას.

წერილობითი ტესტები მათემატიკასა და ინგლისურში

ჩატარდება ორი წერილობითი ტესტი: მათემატიკაში (40 წუთი) და ინგლისურ ენაში (1 საათი). ყველა ტესტი ჩატარდება ინგლისურ ენაზე, ონლაინ პლატფორმის გამოყენებით. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ლეპტოპები და ინტერნეტზე კარგი წვდომა, რათა წარმატებით გაიარონ ონლაინ ტესტირება.

მათემატიკის ტესტი:

კომპეტენციის მინიმალური დონე 40% (ამასთან, სტუდენტებს, რომლებიც მიიღებენ უმაღლეს ქულებს უპირატესობა ექნებათ იმ სტუდენტებთან შედარებით, რომლებიც მიიღებენ დაბალ პროცენტულ შეფასებას).

სტუდენტები, რომლებიც მიიღებენ 60% ამ მეტს, დაიშვებიან უმაღლესი დონის კურსებზე მათემატიკაში, ქიმიასა და ფიზიკაში.

მათემატიკის ტესტის თემებია: რიცხვები, სიმრავლეები და რიცხვები, ალგებრა, ტრიგონომეტრია, გეომეტრია, კოორდინატთა გეომეტრია, სტატისტიკა და ალბათობა (დეტალები ხელმისაწვდომია მოთხოვნისამებრ).

ინგლისური ენის გამოცდა:

ტესტი შედგება ორი ნაწილისგან. კითხვის ნაწილში, სტუდენტებს სთხოვენ წაიკითხონ ტექსტები და უპასუხონ დასმულ შეკითხვებს, ამგვარად ახდენენ რა ტექსტის გაგების დემონსტრირებას.

წერით ნაწილში, სტუდენტებს მოეთხოვებათ ტექსტის (150-250 სიტყვა) დაწერა ნამდვილი ან წარმოსახვითი მოვლენის შესახებ კულტურის, ჯანმრთელობის, დასვენების, მეცნიერების ან ტექნოლოგიის შესახებ.

წვდომისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის ყველა წერილობით ტესტში, აუცილებელი ფიზიკური დასწრების ადმინისტრირება მოხდება ადგილობრივად, ექვსივე ქვეყანაში, აღიარებული პარტნიორული ორგანიზაციების მიერ. ტესტირება ჩატარდება ექვსივე ქვეყანაში ერთსა და იმავე დროს, 2019 წლის მარტის განმავლობაში.

კანდიდატებს ეცნობებათ ტესტირების ზუსტი თარიღებისა და ტესტირების ცენტრების ადგილმდებარეობის შესახებ.

ინტერვიუ:

ონლაინ ტესტების შედეგების საფუძველზე, წარმატებულ განმცხადებლებს (საერთო განმცხადებლების 30-40%) ჩაუტარდებათ ინტერვიუ Zoom-ის საშუალებით, რაც შერჩევის პროცედურის მესამე და საბოლოო ეტაპია. ინტერვიუების საორიენტაციო პერიოდია 2021 წლის აპრილი. ინტერვიუ ჩატარდება ინგლისურ ენაზე.

ინტერვიუ, რომლის ხანგრძლივობაა 30 წუთი, შეაფასებს მოსწავლეთა კურსისთვის მზადყოფნის შემდეგ ელემენტებს:

- გახსნილობა ახალი სასწავლო გამოცდილების მისაღებად და კულტურების გასაცნობად;
- მზაობა საერთო საცხორებელში ცხოვრებისათვის სხვა ქვეყანაში და სახლიდან შორს;
- ცნობისმოყვარეობა და მოტივაცია;
- საინტერესო სასწავლი საგნები და კურსები, რომელთა გავლასაც კანდიდატი ისურვებდა;
- საკომუნიკაციო და ვერბალური უნარები, მათ შორის და არა მარტო, სალაპარაკო ინგლისური ენა;
- სოციალური კომპეტენცია და აქტიური ჩართულობა კლასგარეშე აქტივობებში (სპორტი, კლუბები, კონკურსები და ა.შ.).

ინდივიდუალური ინტერვიუები ახალი სკოლის პერსონალთან და სხვა შემფასებლებთან დაგეგმილია 2021 წლის აპრილში.

ინტერვიუების ფარგლებში, მიმღები კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სტუდენტთა მოტივაციას, მათ გახსნილობას სხვა კულტურების ასიმილირებისთვის და დაინტერესებას ევროპის საქმეებით.

სტიპენდიანტების ჩამონათვალი 2021-2022 აკადემიური წლისთვის გამოცხადდება 2021 წლის მაისის მეორე ნახევარში. შერჩეული სტუდენტები ვალდებულებას იღებენ, რომ სრულად გაივლიან სასტიპენდიო პროგრამას.

მთლიანად განაცხადების მიღების პროცესი სტიპენდიის პროგრამაში მოსახვედრად უფასოა. ამასთან, სამოგზაურო ხარჯები ტესტირების ადგილამდე უნდა იქნეს დაფარული თავად აპლიკანტების მიერ და არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

APPLY NOW!

info

დამატებითი ინფორმაციისთვის განაცხადების მიღების პროცესში მოგვწერეთ:

euscholarship@eapeuropeanschool.eu

ან დაგვირეკეთ ტელ.:
+995 32 225 70 06 (ოფისი)
+995 599 25 17 17 (მობილური).

Supported by the European Union

EaP | Eastern Partnership

აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის საშუალო განათლების სასტიპენდიო პროგრამა

2021-2022 წწ.

საერთაშორისო ბაკალავრის (IB) დიპლომი ევროპათმცოდნეობის მიმართულებით ახალ სკოლაში თბილისში (საქართველო)

მოსწავლეებისგან განაცხადები მიიღება სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელორუსიდან, საქართველოდან, მოლდოვის რესპუბლიკიდან და უკრაინიდან

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა: 2021 წლის 26 თებერვალი, 12:00 სთ. (შუადღე), საქართველოს დროით (UTC +4.00)

Supported by the European Union

New School International School of Georgia

UNOPS Implementing partner

რა არის აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის სასტიპენდიო პროგრამის მიზანი?

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სასტიპენდიო პროგრამა მოსწავლეებს სთავაზობს მაღალი ხარისხის, საერთაშორისოდ აღიარებულ დიპლომის მიღებას, რაც ახალგაზრდებისთვის აზერბაიჯანიდან, ბელორუსიიდან, მოლდოვის რესპუბლიკიდან, საქართველოდან, სომხეთიდან და უკრაინიდან გამორჩეული საგანმანათლებლო შესაძლებლობაა.

რა არის ევროპათმცოდნეობის საკითხებზე ფოკუსირებული საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომი?

პროგრამა მოსწავლეებს სთავაზობს საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომის ყოვლისმომცველ და სრულყოფილ ორწლიან აკადემიურ კურსს კომბინირებულს ევროპის შესახებ სხვადასხვა საკითხების შესწავლის უნიკალურ შესაძლებლობასთან.

რა არის საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამის კონცეფცია?

საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაცია წარმოადგენს საერთაშორისო ფონდს რომლის სლოგანია ,,შევქმნათ უკეთესი მსოფლიო განათლების საშუალებით.'' საერთაშორისო ბაკალავრიატი გვთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამას ორიენტირებულს იმაზე, რომ მოსწავლეებმა იმოქმედონ ეთიკურად და იაზროვნონ ლოგიკურად, კრიტიკულად და დამოუკიდებლად. იგი მოსწავლეებს მთელ მსოფლიოში სთავაზობს ინტერნაციონალურ და მულტიკულტურულ საგანმანათლებლო გარემოს და ამზადებს მათ დღევანდელი გლობალიზებური სამყაროს გამოწვევებთან შესახვედრად. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) საგანმანათლებლო ფილოსოფია შესაბამისობაშია ევროპული ბაკალავრიატის (EB) პროგრამის პრინციპებსა და მიზნებთან.

მიენიჭებათ თუ არა საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომის მქონე მოსწავლეებს უპირატესობა მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში?

საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომს ცნობს 75 ქვეყნის 2000 უნივერსიტეტი. უნივერსიტეტების ჩამონათვალი განთავსებულია საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის ვებგვერდზე (www.ibo.org). მთელი რიგი უნივერსიტეტებისა სხვადასხვა პირობებით სთავაზობს სტიპენდიებს ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს. სადიპლომო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დიპლომები წარუდგინონ განათლების სამინისტროებს თავიანთ ქვეყნებში რათა მიიღონ სკოლის დამთავრების ეკვივალენტური ოფიციალური დოკუმენტი.

ვინ ახორციელებს საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამას?

საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამას ახორციელებს "ახალი სკოლა" თბილისში, (საქართველო), სკოლა ავტორიზებულია საერთაშორისო ბაკალავრიატის მიერ 2010 წელს. "ახალ სკოლას" მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოში მრავალენოვან და მულტიკულტურულ განათლების დანერგვასა და მრავალი ადგილობრივი და უცხოელი კურსდამთავრებულის წარმატებულ კარიერაში. ბოლო პერიოდში, „ახალმა სკოლამ" ასევე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ევროპათმცოდნეობაზე ფოკუსირებული საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამით სწავლებაში და სექტემბრიდან მოსწავლეთა ახალ ნაკადს საკუთარ გამოცდილებას მეტი შემართებით გაუზიარებს.

რომელი კლასგარეშე აქტივობებია გათვალისწინებული „ახალ სკოლაში"?

კლასგარეშე აქტივობები კიდევ უფრო აღრმავებს მოსწავლეთა ევროპულ თვალთახედვას, აძლევს მათ საშუალებას დაესწრონ კონფერენციებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლებსაც ჩაატარებენ ევროკავშირის მიერ მოწვეული მეცნიერები და უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელი პირები. დაგეგმილია მოსწავლეთა სამუშაო ვიზიტები ევროპულ ინსტიტუციებში, რაც გაამყარებს მათ ცოდნას ევროპისა და ევროპის ხალხების შესახებ. ამ ორი წლის მანძილზე მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ ისეთ აქტივობებში და შეჯიბრებებში როგორებიცაა ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა, ჭადრაკი, მოდელირებული გაეროს კონფერენციები, დრამისა და კულინარიული კლუბები. ყოველ სემესტრში ისინი იმოგზაურებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს მათ გამოცდილებას.

იძლევა თუ არა სასტიპენდიო პროგრამა თანაბარ შესაძლებლობებს ყველა აპლიკანტისთვის?

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა და თანაბარი გეოგრაფიული წარმომადგენლობა იმ განაცხადების საფუძვლად რომლებიც იქნება მიღებული. ეს ბალანსი წარმატებულად განხორციელდა აპლიკანტთა პირველი ჯგუფის მიღებისას თითოეული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნიდან. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მოსწავლეებს რომლებსაც იძულებით ადგილნაცვალ პირთა სტატუსი გააჩნიათ და არიან აღმოსავლეთ პარტნიორობის რომელიმე ქვეყნის მოქალაქენი.

სად იცხოვრებენ მოსწავლეები ორი წლის მანძილზე?

მოსწავლეები იცხოვრებენ მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელში რომელიც ,,ახალი სკოლის'' ტერიტორიაზეა განლაგებული. აქ როგორც მოსწავლეები და ასევე მომსახურე პერსონალი კომფორტულად იცხოვრებს. მოსწავლეთათვის გათვალისწინებულია სამეცადინო და სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა. საერთო საცხოვრებლის უფროსი და მენტორთა გუნდი მუდმივად გაუწევს მათ მეთვალყურეობას, უზრუნველყოფს მათთვის კომფორტს, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას.

როგორი პირობებია საერთო საცხოვრებელში?

საერთო საცხოვრებელში თითოეულ ოთახში იცხოვრებს ორი მოსწავლე. ოთახები სრულად არის აღჭურვილი აუცილებელი ავეჯით და სათავსოებით რაც განაპირობებს ოპტიმალურ სასწავლო გარემოს. გარდა ამისა საკვები რომელიც ,,ახალი სკოლის'' კაფეტერიაში მზადდება, უმაღლესი ხარისხის სტანდარტისაა და ახალი პროდუქტებით მზადდება. არის ჯანმრთელი და მრავალფეროვანი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა დიეტური რეკომენდაციები.

ექნებათ თუ არა მოსწავლეებს სასწავლო რესურსები?

ყველა სასწავლო რესურსი რომელიც საჭიროა საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამისთვის (მაგ. სპეციალური კალკულატორები) მოსწავლეებს უფასოდ გადაეცემათ. გარდა ამისა მოსწავლეებს უფასოდ გადაეცემათ პირადი ლეპტოპები, როგორც სკოლაში, ისე სახლში გამოსაყენებლად, აგრეთვე მობილური ტელეფონები სპეციალური საერთო საცხოვრებლის აპლიკაციის გამოსაყენებლად.

რას დაფარავს სამედიცინო დაზღვევა?

მოსწავლეებს ექნებათ სამედიცინო დაზღვევა, რომელიც სრულად ფარავს სამედიცინო ხარჯებს სტომატოლოგიის ჩათვლით. სამედიცინო მომსახურების ჩამონათვალი განახლდება ყოველ წელს.

რა ხარჯები უნდა დაფარონ მოსწავლეებმა?

ძირითად საცხოვრებელ ხარჯებს ფარავს სტიპენდია. მოსწავლეებს შეიძლება მოუწიოს საკუთარი ტანსაცმლის ყიდვა და იმ დამატებით აქტივობებში ფულის გადახდა, რომლებსაც არ ფარავს სტიპენდია.

როგორი დრეს-კოდია სკოლაში?

მოსწავლეებს მოეთხოვებათ ეცვათ მუქი ფერის შარვლები და თეთრი პერანგები ან მუქი ქვედა კაბები.

რა პირადი საბუთები დასჭირდებათ მოსწავლეებს?

სააპლიკაციო პროცესში მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ მშობლის მინდობილობა, დაბადების მოწმობა და წინა წლების ნიშნების ფურცლები თავიანთი სკოლიდან. ნიშნის ფურცლები უნდა იყოს ნათარგმნი ინგლისურად და დამოწმებული ნოტარიულად იმ შემთხვევაში თუ ორიგინალი არ არის ინგლისურ ენაზე. მოსწავლეებმა რომლებიც დაჯილდოვდებიან სტიპენდიით უნდა წარმოადგინონ პასპორტი, დაბადების მოწმობა და ნიშნების ფურცლები.

უფასოა თუ არა ტრანსპორტი თბილისში მოსწავლეთათვის?

სტიპენდიანტი მოსწავლეებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით (ავტობუსებით და მეტროთი) მგზავრობა თბილისში არის უფასო.

APPLY NOW!

info

გთხოვთ ეწვიოთ ვებგვერდს
www.eapeuropeanschool.eu
განაცხადების მიღების გამოცხადების დაწყების შესახებ სრული ინფორმაციის მოსაძიებლად და ონლაინ განაცხადების მიღების პროცესის დასასრულებლად.

დამატებითი ინფორმაციისთვის
გთხოვთ დაგვიკავშირდით:
euscholarship@eapeuropeanschool.eu
ან დარეკეთ:

+ 995 322 25 70 06 (ოფისი)
+ 995 577 393 999 (მობილური)

Supported by
the European Union